ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N44

2023 წლის 28 დეკემბერი

ქ. ხობი

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტისა და 24-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების **შესაბამისად:**

1. დამტკიცდეს თანდართული ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა.
2. განკარგულება ამოქმედდეს 2024 წლის 1 იანვრიდან.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. №3).

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატი
ასლი დედანთან სწორია
ადმინისტრაციული პირის
ხელმოწერა
11. 01 2024

დანართი

ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის 2024 წლის მუნიციპალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის რეგულირების სფერო, განსახორციელებელი საქმიანობა და მიზანი

1. პროგრამის რეგულირების სფეროა ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

2. პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობა მოიცავს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მხრიდან ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის მდგომარეობის შესწავლას, მხარდამჭერი და მზრუნველობითი პროგრამების შემუშავებას, ღონისძიებების დაფინანსება- თანადაფინანსებას, ასევე სხვადასხვა კატეგორიებზე სადღესასწაულო და მნიშვნელოვან დღეებში ერთჯერადი წახალისების თანხის გაცემას.

3. პროგრამის მიზანია ხობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრე

პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს მიეკუთვნებიან ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული:

ა) მარტოხელა ხანდაზმულები;

ბ) იძულებით გადაადგილებული პირები;

გ) ომის ვეტერანები;

დ) დედ-მამით ობოლი ბავშვები;

ე) მრავალშვილიანი ოჯახები;

ვ) ავადმყოფები;

ზ) უმუშევრები;

თ) ეკონომიკურად შეჭირვებული და სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეები;

ი) მოქალაქეები, რომლებიც სტიქიის შედეგად საჭიროებენ გადაუდებელ დახმარებას;

კ) ახალშობილთა ოჯახები;

ლ) 100 და 100 წელს ზემოთ ასაკის მოქალაქეები;

მ) დიალიზზე მყოფი მოქალაქეები;

ნ) ჩერნობილის ტრაგედიის დროს დაზარალებულები;

ო) 18 წლამდე ასაკის მქონე პირები;

პ) უსახლკაროები, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს;

რ) სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათასს;

ს) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირები;

ტ) შშმ პირები (მაღალ-ტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონოროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია) ერთჯერადი დახმარების ფარგლებში).

ფ) 6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები;

ქ) აუტიზმით დაავადებული ბავშვები;

მუხლი 3. პროგრამის მოქმედების ვადა, მისი დაწყების და დასრულების დრო

პროგრამა მოქმედებს 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. გასაცემის პერიოდულობა

პროგრამით განსაზღვრული გასაცემები შეიძლება გაიცეს პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის მანძილზე, შემოსული განცხადებებისა და წინადადებების შესაბამისად, გარდა მე-13 მუხლით კონკრეტული თარიღისთვის განსაზღვრული ერთჯერადი გასაცემისა.

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი და მისი დაფინანსების წყარო

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 662 450 (ექვსას სამოცდაორი ათას ოთხასორმოცდაათი) ლარს და ფინანსდება ხობის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

მუხლი 6. პროგრამის ადმინისტრაციული წარმოების სახე

პროგრამის განხორციელების ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

მუხლი 7. პროგრამის ადმინისტრირების, მისი მართვის, ზედამხედველობის, ინსპექტირებისა და კონტროლის წესები და პირობები

1. პროგრამის ადმინისტრირებას, მართვას, ზედამხედველობას და ინსპექტირებას ახორციელებს ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

2. კონტროლის წესები და პირობები რეგულირდება ხობის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის დებულებით, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით დამტკიცებული ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 8. გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილების პროექტს ამზადებს:

ა) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარები ან/და დასაფინანსებელი თანხის ოდენობა წინასწარ არის დადგენილი წლის ან წლის გარკვეული ან/და კონკრეტული პერიოდისთვის;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამების უზრუნველყოფის კომისია - იმ პროგრამების რეალიზებისთვის, რომელთა ბენეფიციარების ან გასაცემი თანხის დადგენა მოითხოვს შერჩევას, შემოწმებას, შეფასებას და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებას.

2. პროგრამის ფარგლებში გადაწყვეტილებას იღებს ხობის მუნიციპალიტეტის მერი, რისთვისაც გამოიცემა მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანება.

მუხლი 9. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტები

1. პროგრამით სარგებლობისათვის სავალდებულოა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:

ა) წერილობითი განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) საბანკო ანგარიშის ნომერი (ფულადი დახმარების შემთხვევაში);

დ) კონკრეტული ფაქტის გამო დახმარების გაწევის შემთხვევაში, ამ ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საოპერაციო ხარჯების ანაზღაურების შემთხვევაში - ფორმა №100 (ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ), ანგარიშფაქტურა და კალკულაცია.

2. პროგრამით სარგებლობისათვის წარსადგენ დამატებით დოკუმენტთა ნუსხა კონკრეტული პროგრამისთვის (გასაცემისთვის) განისაზღვრება ხობის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ხობის

მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარებისა და ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამების განხორციელების წესით.

მუხლი 10. სოციალური პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მინიმალური და მაქსიმალური ოდენობა

პროგრამით გათვალისწინებული გასაცემი თანხის მინიმალური ოდენობა განისაზღვრება 100 (ასი) ლარით, ხოლო მაქსიმალური - 3000(სამი ათასი) ლარით.

მუხლი 11. ადმინისტრირებისთვის საჭირო სხვა პირობები

სოციალური დახმარების თაობაზე განაცხადი მიიღება როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული ფორმით.

მუხლი 12. ფინანსური დახმარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების წესი და მონაწილე მხარეები

ფინანსური დახმარება გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორებით და აღსრულდება დასახმარებელი სუბიექტის საბანკო ანგარიშზე ან ამ სუბიექტის მომსახურე შესაბამისი იურიდიული პირის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით. მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ დასახმარებელი სუბიექტი და ხობის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 13. პროგრამის ხარჯთაღრიცხვა

N	კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის ბიუჯეტი	პროგრამის მოქმედების ვადა	პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობა	პროგრამის ღირებულება თითეულ სუბიექტზე
1.	06 03	**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**				
2.	06 03 01	ავადმყოფთა სოციალური დახმარება. მათ შორის:				
	მათ შორის	საოპერაციო(გადაუდებელი და გეგმური ოპერაციები) ქიმიო, იოდო და სხივური, რადიო, ჰორმონო თერაპიის მკურნალობის ხარჯების დაფინანსება, ერთჯერადად, (გადაუდებელი ოპერაციის დროს პაციენტის საავადმყოფოდან გაწერიდან ერთ თვემდე(წარმოდგენილი ურთიერთშეთანხმების აქტი) ხოლო გეგმური ოპერაციის შემთხვევაში ,ავადმყოფის საავადმყოფოდან გაწერამდე).	155000.0	01.01.2024-31.12.2024	300-350	თანადაფინანსება 50%, მაგრამ არაუმეტეს 1500 ლარისა (წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის მიხედვით, სახელმწიფო ან/და კერძო დაზღვევის პროგრამით დაფინასების შემდგომ პაციენტის მიერ 300 და 300 ლარს ზემოთ გადასახდელი თანხის შემთხვევაში)
		შშმ პირთა და ონკოლოგიურ და ონკოლოგიურზე საეჭვო პაციენტთა მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების (კორონაროგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ რეზონანსული ტომოგრაფია, ბიოფსია, ჰისტოქიმიური კვლევა) დაფინანსება, ერთჯერადად.	25000.0	01.01.2024-31.12.2024	20-30	თანადაფინანსება 50%, მაგრამ უმეტეს 500 ლარისა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე)

		დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა ყოველთვიური დახმარება	43200.0	01.01.2024-31.12.2024	18.0	200.0
		0-18 წლამდე ასაკის მქონე პირთათვის სამედიცინო რეაბილიტაცია-აბილიტაციის დაფინანსება, ერთჯერადად.	20000.0	01.01.2024-31.12.2024	20-30	არა უმეტეს 800 ლარისა (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურით).
		6-18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამების კერძოდ: დღის ცენტრის თანხის (ბინის ქირის , კომუნალური ან სატრანსპორტო ხარჯების, საჭიროების განსაზღვრით) თანადაფინანსება	10000.0	01.01.2024-31.12.2024	15-25	წარმოდგენილი ფაქტიური ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. მემორანდუმი (ხელშეკრულება)
		აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე წელიწადში ორჯერადად ფინანსური დახმარების გაცემა (თებერვალ-სექტემბერი)	4200.0	01.01.2024-31.12.2024	7.0	300
3.	**06 03 02**	სარიტუალო მომსახურება (ომის ვეტერანთა და დევნილთა დაკრძალვის ხარჯები) მათ შორის				
	მათ შორის	ომის ვეტერანების	1000.0	01.01.2024-31.12.2024	4.0	250.0
		დევნილების	5000	01.01.2024-31.12.2024	20.0	250.0
4.	**06 03 03**	მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა, ჩერნობილით დაზარალებულთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები. მათ შორის				
	მათ შორის	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების შედეგად შშმპ-თა ერთჯერადი დახმარება	1500.0	01.05.2024-30.05.2024	6.0	250.0
		დახმარება ჩერნობილის კატასტროფის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილეთათვის	3000.0	01.04.2024-30.04.2024	12.0	250.0
		2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	1500.0	01.08.2024-30.08.2024	6.0	250.0
		აფხაზეთის ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარება	2500.0	01.09.2024-30.09.2024	10.0	250.0
5.	**06 03 04**	მრავალშვილიანი ოჯახებისა (4 შვილი და მეტი), დედ-მამით ობოლი ბავშვების და 100 წელს გადაცილებულთა ერთჯერადი დახმარება. მათ შორის				
	მათ შორის	მრავალშვილიანი ოჯახების (4 შვილი და მეტი) ერთჯერადი დახმარება	20000.0	01.03.2024-30.03.2024	80.0	250.0
		არასრულწლოვან დედ-მამით ობოლთა დახმარება	500.0	01.06.2024-30.06.2024	2.0	250.0
		100 წლის და 100 წელზე მეტი ასაკის მოქალაქეთა დახმარება	1750.0	01.03.2024-30.03.2024	7.0	250.0

6.	**06 03 05**	უმწეო ბენეფიციართა ერთჯერადი კვებითი მომსახურების დაფინასება	130000.0	01.01.2024-31.12.2024	155.0	838.0
7.	**06 03 06**	დახმარება ახალშობილთა ოჯახებისთვის	50000.0	01.01.2024-31.12.2024	250.0	პირველ და მეორე ბავშვზე - 200; მესამე-მეოთხე ბავშვზე - 300, მეხუთე და ზევით ბავშვზე 500 ლარი
8.	**06 03 07**	სიღარიბეში მყოფი ოჯახებისთვის წყლის ხარჯის ანაზღაურება ყოველთვიურად.(65000 და ნაკლები ქულა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბენეფიციარის ოჯახი.)	17000.0	01.01.2024-31.12.2024	800	1.77
9.	**06 04**	ერთჯერადი ფულადი დახმარება ეკონომიკურად შეჭირვებული მოქალაქეებისთვის	20000.0	01.01.2024-31.12.2024	200.0	100
10.	**06 05**	ხანძრითა და სტიქიით დაზარალებულთა დახმარება (ერთჯერადად)	30000.0	01.01.2024-31.12.2024		300-დან 30000-ლარამდე
11.	**06 06**	მოსახლ. სოც. და საცხოვრ. გარემოს გაუმჯ. ხელშეწყობა. მათ შორის				
	მათ შორის	მარტოხელა (დაუძლურებულ ხანდაზმულთა) შინმოვლის თანადაფინანსება	20000.0	01.01.2024-31.12.2024	7.0	მემორანდუმი (ხელშეკრულება)
		სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომლებიც რეგისტრირებული არიან მონაცემთა ერთიან ბაზაში, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 ათას ქულას და რომელთა სახლები საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ გადახურვას) სახურავის და გადასახურად საჭირო სხვა მასალის ასევე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი სახლის გასამაგრებელ, ცემენტის და ბლოკის შეძენა.	80000.0	01.01.2024-31.12.2024	35.0	
		ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება(პოლიციიდან ან სასამართლოდან ან „გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორის კომისიიდან) შემოსული ოქმის საფუძველზე.	7500.0	01.01.2024-31.12.2024	25.0	300.0
		უსახლკაროდ დარჩენილთათვის, რომლებიც საჭიროებენ თავშესაფარს და აქვთ გაკეთებული განაცხადი შესაბამის სტრუქტურებში თავშესაფარში მოთავსებამდე, ბინის ქირის გადასახადი	3800.0	01.01.2024-31.12.2024	5.0	100-დან 300-ლარამდე (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში)
		სტიქიური მოვლენების და ხანძრის შედეგად დაზარალებულთა (საცხოვრებლის გარეშე დარჩენილთა), ასევე ავარიული (სიცოცხლისთვის საფრთხის შემცველი)მრავალბინიანი სახლების მობინადრეთა ფინანსური დახმარება, რომლებიც საჭიროებენ	5000.0	01.01.2024-31.12.2024	5.0	100-დან 300-ლარამდე (არაუმეტეს 6 თვის განმავლობაში)

		საცხოვრებელი ფართის დაქირავებას, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე (გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებული ვიზუალურ საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა, საექსპერტო დასაკვნა, ცნობა შსს სსიპ საგანგებო მართვის სააგენტოს სახანძრო - სამაშველო განყოფილებიდან)				
		არასამთავრობო ორგანიზაციების სოციალური პროგრამის კერძოდ ძალადობის მსხვერპლი ოჯახებისთვის დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის თანადაფინანსება	5000.0	01.01.2024-31.12.2024	10.0	მემორანდუმი (ხელშეკრულება)
		ს უ ლ ხარჯები	**662450.0**			